პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 19 მაისი, 1943 წ. № 109 (6734). ფასი 20 კაპ.

თავიდან ავიცილოთ ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების გამოყენების დარგში

საკოლმეურნეო წყობილებამ შეაქმნა წინათ არნახული შესაძლებლობანი ჩვენს მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. კოლმეურნეობათა მეობებით ფაქტიურად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და გაიზარდა საბჭოთა გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა. დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობები ფრონტის მტკიცე დასაყრდენად გადაიქცნენ. ამისანაგ სტალინის მოწოდებით, მილიონობით კოლმეურნე ქალი და კაცი მუშაობს დაუცხრომლად, შეუფერებლად ამაორაგებს ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს სურსათით, ხოლო მრეწველობას—ნედლეულით.

კოლმეურნეობები ომის მძიმე პირობებშიც კი კვლავ აფართოებენ თავიანთ მეურნეობას, ზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. მაგრამ ომი ფრონტისათვის დასაბარების შემდგომს განუწყვეტელ გაძლიერებას მოითხოვს. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ შეაქმნა ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა საზიზღარ ბატრზე გამარჯვების რაც შეიძლება მალე მოპოვებისათვის. ამოქმედებულ უნდა იქნას საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების ყველა ბერკეტი, სრულად უნდა იქნას გამოყენებული კოლმეურნეობათა მთელი შრომითი რეზერვები.

პარტიამ და მთავრობამ, რომელნიც დაუცხრომლად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ყოველნაირად ამაღლებისათვის, ჯერ კიდევ ომამდე შემოიღეს მოწინავე კოლმეურნეობა შრომის დამატებითი ანაზღაურება სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. დამატებითი ანაზღაურების ორ წერტზე მეტი ხნის გამოყენების ვადამ ცხადყო ამ ღონისძიების უდიდესი მნიშვნელობა.

ათასობით და ათასობით კოლმეურნეობანი, რომელნიც სისტემატურად იყენებენ შრომის ანაზღაურების ახალ წესს, განუხრელად ზრდიან მინდვრების მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

აი ორი დამახასიათებელი მაგალითი.

1942 წელს გორკის ოლქის ჩკალოვის რაიონში მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმიანი დავალებანი გადაჭარბებით იქნა შესრულებული 51 კოლმეურნეობიდან 45 კოლმეურნეობაში. აქ დამატებითი საზღაური 57 ბრიგადამ და 251 რგოლმა მიიღო. მოსკოვის ოლქის ვოსკრესენსკის რაიონის კოლმეურნეობა „კოლექტივნაია ვესნამ“ ბევრად გადაჭარბა გეგმით მიცემულ დავალებებს მემინდვრეობის ყველა დარგში. აქ დამატებითი საზღაური მიიღო მემინდვრეობის ყველა ბრიგადამ და მეძოსტნეობის ბრიგადის ყველა რგოლმა. წლიური ანგარიშების ცნობების მიხედვით, გორკის ოლქში იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც დამატებითი საზღაური გასცეს გეგმით მიცემულ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, 1941 წელს 755 იყო, 1942 წელს კი 1.006-მდე ავიდა. ამავე პერიოდის განმავლობაში იაროსლავლის ოლქში იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც დამატებითი საზღაური გასცეს, 765-დან 1.026-მდე ავიდა.

მართებულად ახლანს რა ერთმანეთთან საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს და კოლმეურნეობათა და ყველა პატიოსანი კოლმეურნის ინტერესებს, შრომის ანაზღაურების ახალი წესი ხელს უწყობს იმას, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას გამოყენებული შრომითი რეზერვები, აძლიერებს კოლმეურნეთა შრომითს აქტიურობას, წარმართავს ყველა მათს ღონისძიებას იქითკენ, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულონ სახელმწიფოს მიერ მიცემული გეგმიანი დავალებანი.

მაგრამ ფაქტები მეტყველებს, რომ ბევრ რაიონში არასაკმარისად იყენებენ შრომის დამატებითს ანაზღაურებას კოლმეურნეობებში. ამ მხრივ დამახასიათებელია ჩკალოვის, ჩელიაბინსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქები და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა. იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც დამატებითი საზღაური გასცეს 1942 წელს, აქ არა მარტო არ გადიდებულა, არაპირ კიდეც შემცირდა.

ომის დღეებში, როდესაც უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ყოველი დამატებითი ცენტნერი პური და ხორცი, ერთიორად შეუწყნარებელია შეუფასებლობა კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურებისა—სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. კოლმეურნეობებში, შრომის დამატებითი ანაზღაურების დადგენილი წესის ბოველგან გამოყენება ახლა ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის, ყველა სამიწათმოქმედო ორგანოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

დამატებითი ანაზღაურების წარმატებით დანერგვისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაცულ იქნას მინდვრების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაგეგმვის სისტემა, რომელიც დადგენილია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან. ამავე დროს კი, ბევრ რაიონში ამ სისტემას ამახინჯებენ. სახელმწიფო გეგმით დაწესებულ დავალებებს არღვევენ და კოლმეურნეობებს გადიდებულ დავალებებს აძლევენ. კოლმეურნეობის გამგეობანი და აგრონომები თავიანთ მხრივ უდიდებენ დავალებებს ბრიგადებს, რგოლებსა და ფერმების მუშაკებს. ამასთან ყველაზე უფრო დიდ დავალებებს უწესებენ მოწინავე ბრიგადებსა და რგოლებს, რითაც ამ უკანასკნელთ არახელსაყრელ პირობებში აყენებენ. ჩამორჩენილ ბრიგადებთან და რგოლებთან შედარებით.

ცხადია, რომ ასეთ „დაგეგმვას“ შრომის ანაზღაურების ახალ წესთან საერთო არა აქვს რა.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყოფნ ყველა კოლმეურნეობაში დაგეგმვის დაწესებული სისტემის სასტიკად დაცვა. დაგეგმვისას ერთად აღებულ ყველა რაიონთა თითოეული კულტურის საშუალო მოსავლიანობა უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ოლქის, მხარის, რესპუბლიკისათვის სახელმწიფო გეგმით დაწესებულ მოსავლიანობის დონეს, ხოლო რაიონის ყველა კოლმეურნეობათა საშუალო მოსავლიანობა უნდა ეფარდებოდეს რაიონისათვის დაწესებულ მოსავლიანობის დონეს. კოლმეურნეობის ფარგლებში ყველა ბრიგადისა და რგოლის საშუალო მოსავლიანობა უნდა შეესაბამებოდეს მთლიანად კოლმეურნეობისათვის დაწესებულ მოსავლიანობის დონეს.

ამასთან საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას დიფერენცირებული მიდგომა ნიადაგის ხარისებურობათა მიხედვით. ამავე დროს ბოლო უნდა მოეოს გეგმიან დავალებათა მიწოდების დაგვიანების უარყოფა პრაქტიკას. ალტაის მხარის უჩ-პრისტანის რაიონში 1942 წელს მოსავლიანობის გეგმიანი დავალებანი კოლმეურნეობებს მხოლოდ 8 იანვარს მიეცათ, კოლმეურნეობათა გამგეობები კი ბრიგადებისა და რგოლებისათვის დავალებებს 10 იანვარს შემდეგ აწესებდნენ.

ამგვარად, გაჩაღებული საგაზაფხულო თესვისა და ნათესების მოვლის დროს, როცა უმთავრესად საუბარია მოსავლიანობისათვის ბრძოლის წარმატება, კოლმეურნეები მოკლებული იყვნენ მატერიალურ სტიმულს, რომ ენერგიულად ებრძოლნათ გეგმიან დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. წელს ეს შეცდომა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამეორდეს. უნდა შემოწმდეს, თუ როგორ ხდება გეგმიან დავალებათა მიწოდება ყველა კოლმეურნეობისა, ბრიგადისა და რგოლისათვის, და თავიდან აცილებულ უნდა იქნეს გამომეცალკევებული ნაკლოვანებანი.

შრომის ანაზღაურების ახალი წესის გამოყენება გულისხმობს მემინდვრეობის ბრიგადებისა და რგოლების მუდმივი შემადგენლობის არსებობას და მათზე მიწის ნაკვეთებისა და ნათესების მიმაგრებას. ამას, საშუალოდ, ხშირად იყენებენ. განა შეიძლებოდა სეროიზულად ბრძოლა შრომის ანაზღაურების ახალი წესის დანერგვისათვის, მაგალითად, პენზის ოლქში? აქ 12 ათასი რგოლიდან, რომლებიც 1942 წელს მოეწყო, მოსავლის აღების დასასრულისათვის შრომის ცუდი ორგანიზაციის, რგოლების დიდი დენადობის გამო, თავიანთი მუდმივი შემადგენლობა მხოლოდ მცირეოდენმა შეინარჩუნა. შრომის ანაზღაურების ახალი წესის ბეჯითად გამოყენებას ვერც ივანოვოს ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების შუშაკები დაიკვეხნიან. 1942 წელს აქ რგოლებზე მიმაგრებული არ იყო 46 პროცენტი სელის ნათესი, 59 პროცენტი კარტოფილის ნათესი, 38 პროცენტი ბოსტნეულის ნათესი და 58 პროცენტი წეკოს ნათესი.

შრომის დამატებითი ანაზღაურების ყველგან შემოღებისათვის არა ნაკლებ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარეგოება, რომ არ ხდება შრომადღეების ინდივიდუალური აღრიცხვა და თავის დროზე დარიცხვა, აგრეთვე არ ხდება აღებული მოსავლის რაოდენობის ცალცალკე აღრიცხვა ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით. ამის გამო ბევრ კოლმეურნეს, რომლებმაც გეგმიან დავალებათა გადაჭარბებით შესრულებულ მიაღწიეს, დამატებითი საზღაური არ ეძლევა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სრულიად არ იყენებენ ინდივიდუალურ სანარდო სისტემას. ამის შედეგად კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეებს იმავე რაოდენობით ერიცხებათ შრომადღეები, როგორც ცუდად მომუშავე კოლმეურნეებს. ცხადია, ეს ამცირებს კოლმეურნეთა დაინტერესებას — ამაღლონ შრომის ნაყოფიერება.

შრომის ანაზღაურების ახალი წესის გამოყენებაში არსებული ყველა ეს შეცდომა და ნაკლი უკარგავს კოლმეურნეებს რწმენას, რომ შეუძლიათ დამატებითი საზღაური მიიღონ კარგი მუშაობისათვის. ბუნებრივია, რომ ამან შესაძლოა უაღრესად უარყოფითი გავლენა მოახდინოს მინდვრების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაზე.

სოფლად მომუშავე პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების მუშაკთა უწინდესი ვალია ამოცანად აღმოფხვრან ყველა დაბრკოლება, რომელნიც ხელს უშლიან დამატებითი ანაზღაურების გამოყენებას. კიდევ და კიდევ უნდა განმარტოთ კოლმეურნეთა ფართო მასებს კანონი დამატებითი ანაზღაურების შესახებ და დაგეგმვის მოწესრიგების დარგში პრაქტიკული ზომების დაუყოვნებლივ მიღებით, აგრეთვე შრომის ორგანიზაციითა და აღრიცხვით უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი საზღაურის მიღება ითითეული ბრიგადისა და თითოეული რგოლის მიერ, რომელნიც გადაჭარბებით შესრულებენ გეგმიან დავალებას.

განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კოლმეურნეებს განემარტოს შრომის დამატებითი ანაზღაურება ფეტვის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ კულტურის მოსავლიანობის ყოველნაირად გადიდების მიზნით კოლმეურნეობებს ნებადართული აქვთ აძლიონ იმ რგოლების კოლმეურნეებს, რომლებნაც გადაჭარბებით შესრულეს ფეტვის მოსავლიანობის გეგმები, დამატებითი საზღაური ფეტვით, მთლიანად კოლმეურნეობაში მარცვლეულის საერთო მოსავლის მიუხედავად, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე და სათესლე ფონდების გამოყოფამდე.

საკოლმეურნეო სოფელში საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი დღეები დადგა. მილიონობით კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის ნარშალ აბხაზიანგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით, ცდილობენ საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს თესვის წარმატებით ჩატარების გზით და ამგვარად დაეხმაროს ჩვენს გმირ წითელ არმიას გამარჯვება მოიპოვოს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში. დამატებითი ანაზღაურების კანონის მართებულად და ყველგან გამოყენება ხელს შეუწყობს იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩატარდეს საგაზაფხულო თესვა და წარმატებით შესრულდეს 1943 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა.

„პრავდის“ მეორე მოწინავე, 16/V.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იუგოსლავიის ელჩი

ბ-ნი ს. სიმიჩი

17 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ს. სიმიჩი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბელგიის ელჩი

ბ-ნი რ. ვან დე კერშოვ დ' ალებასი

18 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი რ. ვან დე კერშოვ დ' ალებასი მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის თავისი რწმუნების სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე უმანსკი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად მექსიკაში მისთვის წინათ მიკუთვნებული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგის დატოვებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვ. ა. ფედიუშინი ავადყოფობის გამო, მისი პირადი თხოვნის თანახმად გათავისუფლა მექსიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის მოვალეობისაგან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 მაისის დილის ცნობა

17 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიში და უკუაგდეს იგი თავდაპირველ პოზიციებზე. ამ ბრძოლაში მოსპობილია რამდენიმე ტანკი და 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ყუბანის ქვეშო წელში ჩვენმა რაზმებმა ჩაახშეს 13 სატყვიაფრქვევო წერტილი და 3 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და მოსპეს პატელერელთა ერთ ასეულამდე ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაამსხვრიეს მოწინააღმდეგის 9 სატყვიამფრქვევი და ჩაახშეს 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ცალკეულ უბნებზე გერმანელთა რაზმები ცდილობდნენ დაზვერვა ეწარმოებინათ, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნენ.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენი არტილერიის ცეცხლითი თავდასხმებით დანგრეულია მტრის 5 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი, მოსპობილია 15 ავტომანქანა და საზიდარი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი „იუნკერს-87“.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მეავტომატეთა ჯგუფმა სერიანტ კონდრატიევის მეთაურობით საბრძოლო ამოცანის შესრულებისას მოსპო 26 გერმანელი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავების ჯგუფი უეცრად შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და 20 თეთრფრენელი გაელიტა ხელჩართულ შეტაკებაში. 6 შენაერთის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 60 ჰიტლერელი დახოცეს. ლენინგრადის მისადგომებთან საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა თვითმფრინავი. მტრის სხვა თვითმფრინავი მოსპობილ იქნა საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი „ზა

რაიონული პარტიული კონფერენციები

ლენინის რაიონი

15-16 მაისს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიონის XXIII კონფერენცია.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ მქუხარე ტაშით აირჩია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** და ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩევი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. პარტიის რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი, ხოლო მეორე საკითხზე — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კუზნა.

როგორც მოხსენებელმა აღნიშნა, სამამულო ომის ვითარებაში რაიონის საწარმოებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, სტახანოვური მუშაობითა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად გასული წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, ამავე დროს საგრძნობი რაოდენობით გასწიეს ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია. გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს, ელექტროტექნიკური ქარხნის, IV საგაგონო უბნის, ვჩ-5 კოლექტივები.

ტრიკოტაჟკომბინატის კოლექტივმა, რომელმაც საუკეთესო მუშაობის შედეგად გასულ წელს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საპატიო ადგილი მოიპოვა, გასულ თვეში არადამაკმაყოფილებლად იმუშავა და ცოტა რაოდენობის პროდუქცია როდი დააკლო ქვეყანას. გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან შუშისა და სხვა ქარხნები.

ამასთანავე მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა მე-7 სამკერვალო ფაბრიკის, შუშის ქარხნის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის.

მომხსენებელმა ილაპარაკა რაიონში პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის მდგომარეობაზე, პარტიის რიგების ზრდაზე, კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე, მასობრივ-თავდაცვითს მუშაობაზე, სახალხო განათლების მდგომარეობაზე, ახალი კადრების აღზრდა-დაწინაურებაზე, საბინაო მშენებლობაზე და სხვ., გააკრიტიკა კომუნალური განყოფილებისა და საბინაო სამმართველოს მუშაობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნეფარიძემ, თუშიშვილმა, მგელაძემ, სარიშვილმა, დოქსოპულომ, უშაკოვმა, ტოგონიძემ, ბაღდასარიანმა, გოგლიძემ, თეკუხაძემ, ბახტაძემ, ნელქონიანმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

რაიონული კომიტეტის შემადგენლობაში წევრად არჩეულ იქნა 47 ამხანაგი, კანდიდატად—13, ხოლო სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში—5 ამხანაგი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულნენ ამხანაგები კ. ჩარკვიანი, გ. სტურუა, მ. ბარამია, ვ. ბუჯიაშვილი, ს. იშხანოვი, ა. კვაჭაძე.

* * *

შესდგა რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიუროო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ნ. ბაიდაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ალ. ტოგონიძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ივ. გეტაშვილი.

ბერიას რაიონი

15-16 მაისს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიონის კონფერენცია.

კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი **სტალინის** მეთაურობით.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ხანთაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიო პერიოდში რაიონულმა კომიტეტმა სათანადო მუშაობა ჩაატარა. სერიოზული ყურადღება ეთმობოდა საყოველთაო საგალდებულო სამხედრო სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას, თავდაცვითი ჯგუფების მომზადებას და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ზრუნვას. სამხედრო მოსამსახურეთა მრავალ ოჯახს მიეცა ფულადი დახმარება, შეკეთდა 78 სამხედრო მოსამსახურის ბინა. რაიონის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მიღებული არიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. 1943 წ. 1 მაისისათვის რაიონში მიღებულია 1.235 ამხანაგი პარტიის წევრად, 816 — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. მათ შორის აკად. გ. ახლედიანი, სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი უჩა ჯაფარიძე და სხვები.

რაიონის პარტორგანიზაციები ენერგიულად იბრძოდნენ საწარმოო გეგმების შესრულებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

რაიონში **52** აგიტკოლექტივი მუშაობს, შერჩეული არიან კვალიფიციური აგიტატორები, რომელნიც სისტემატიურად ატარებენ საუბრებს მოსახლეობასა და საწარმო-დაწესებულებებში. 1942-43 წლებში რაიკომმა ჩაატარა 540 ლექციი და საუბარი, რომლებსაც 30.000 კაცი დაესწრო.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ნაკლოვანებები ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. ფრანგულიანი. მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კანკავამ, ჟურდღელაშვილმა, ციმაკურიძემ, ძიძიგურამ, ლებანიძემ, შიუკაშვილმა ბუჯიაშვილმა, მიქავამ, აკადემიკოსმა ჯანაშიამ, ალექსადროვმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად, დაანმტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

რაიონული კომიტეტის შემადგენლობაში წევრად არჩეულ იქნა 47 ამხანაგი, კანდიდატად—13, ხოლო სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში—5 ამხანაგი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულნენ ამხანაგები კ. ჩარკვიანი, გ. სტურუა, მ. ბარამია, ვ. ბუჯიაშვილი, ს. იშხანოვი, ა. კვაჭაძე.

კიროვის რაიონი

15-16 მაისს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიონის VII კონფერენცია.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი **სტალინის** მეთაურობით.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: **რაიკომის** ანგარიში, **რაიკომის სარევიზიო კომისიის** ანგარიში, **რაიკომისა** და **სარევიზიო** კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი მუშაობის საობარ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ ამხანაგ **სტალინის** მოწოდებას რაიონის ფაბრიკა-ქარხნებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით უპასუხეს. ამასთან, მომხსენებელმა გააკრიტიკა ტყავის № 1, ტყავის № 2 ქარხნები, ჭეჩის, ბამბის, ძაფსართავი ფაბრიკები, მექანიკური პურის საცხობი და სხვ., რომლებიც ჩამორჩნენ 1943 წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულებაში.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცეოდა საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდას. 1940 წლის მარტიდან 1943 წლის მაისამდე პარტიაში მიღებულია 905 წევრი და 689 წევრობის კანდიდატი. საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებული არიან რაიონის მოწინავე სტახანოველები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი. მიღებული არიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. 1943 წ. 1 მაისისათვის რაიონში მიღებულია 1.235 ამხანაგი პარტიის წევრად, 816 — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. მათ შორის აკად. გ. ახლედიანი, სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი უჩა ჯაფარიძე და სხვები.

რაიონის პარტორგანიზაციები ენერგიულად იბრძოდნენ საწარმოო გეგმების შესრულებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

რაიონში 52 აგიტკოლექტივი მუშაობს, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება და სიყვარული.

ამხ. ხოშტარიას მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ პ. კილასონიას მოხსენება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჯაშიაშვილმა, ჩადრანოვმა, მალოიანმა, შახკულოვმა, შუგაროვმა, მხითარიანმა, ცხოიძემ, ბაღდასაროვმა. შაპოვოლოვმა, ბერაძემ, თოდრიამ, აბაიშვილმა და სხვ.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

რაიკომის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 47 წევრი და 13 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—5 ამხანაგი.

***

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის პირველი პლენუმი, რომელზეც არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტის ბიუროო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კ. ხოშტარია, მეორე მდივნად ამხ. მ. წერეთელი და მდივნად კადრების დარგში ამხ. ლ. ბაბაიანი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები—ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ვ. ბუჯიაშვილი, ს. იშხანოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ბ. ლელინი.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

(საქმიწსახკომის 15 მაისის ცნობებით)

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურებით	მათ შორის მარცვლეული პარკოსანი	კარტოფილი	თამბაქო
აფხაზეთის ასსრ	64,7	84,6	57.4	12,8
აჭარის ასსრ	93,1	105,9	92,1	8,6
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	90,5	92,8	73,6	
აბაშა	98,5	100,1		
ცხაკაია	97,7	100		
გეგეჭკორი	96,8	100,1		
ზუგდიდი	99,3	100,5		4
ხობი	97,1	100		
წალენჯიხა	102.3	102,5		
ჩხოროწყუ	100,8	103,3		
მახარაძე	100,6	100,4		
ლანჩხუთი	72,3	88,7		
ჩოხატაური	75.7	80,7	100,5	0,7
ფოთი	94,7	101		
ქუთაისი	100	101,6	101,4	
წყალტუბო	101	100,9	100	
სამტრედია	96,7	100,2	100	
წულუკიძე	95.7	100,5	100	
ვანი	91,2	96	100	
მაიაკოვსკი	100,9	101	100	
ზესტაფონი	102	102,3	100	
ჩიარი	100,1	100	100	
ჭიათურა	100,2	101,1	100	
საჩხერე	102,6	102,3	101.7	
ორჯონიკიძე	102.3	102,1	121,4	
ტყიბული	100,8	101,2	100	
ონი	94,9	100,1	67,8	
ამბროლაური	101,7	101.8	100	
ცაგერი	99.3	99,5	85	

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურებით	მათ შორის მარცვლეული პარკოსანი	კარტოფილი	თამბაქო
ქვემო სვანეთი	98,5	100,9	86,7	
ზემო სვანეთი	—	—	—	
ახალქალაქი	78,4	89,4	90,6	
ბოგდანოვკა	87,5	90,9	94,8	
ახალციხე	100	101,5	100	
ადიგენი	100	100,2	100,6	
ასპინძა	101,5	101,2	106,7	
ხაშური	100,4	104,8	96,7	
ქარელი	98,1	101,3	130,5	
გორი	99,5	105,4	107,3	
კასპი	98,2	102,7	100	
ბორჯომი	91,4	97,4	79,1	
წალკა	86,6	92,6	85,1	
დუშეთი	101,5	103,2	103,3	
თეთრი წყარო	87,2	87,8	85,6	
თიანეთი	66,6	69,9	99,6	
ყაზბეგი	—	—	—	
გურჯაანი	99	100,8	79	5
სიღნაღი	92,7	100	100	29,6
წითელწყარო	102,3	104,2	85,7	
თელავი	99,6	102,1	101,8	
ყვარელი	93	101,8	100	20,2
ლაგოდეხი	80,1	100,4	100	51,3
თბილისი	84,9	96,3	43.6	
მცხეთა	87,3	109,9	72,5	
ყარაია	83,1	106,1	110,5	
ბორჩალო	68.3	100	100,8	27.7
ბოლნისი	94,7	102,2	92,3	26,5
საგარეჯო	100	109,9	53,4	
ბაშკიჩეთი	91,9	95,3	106,4	

კალენდარულ ვადაზე საქმიწსახკომში ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ლანჩხუთის, ვანის, თეთრი წყაროს და ახალქალაქის რაიონების მაჩვენებლები 10 მაისისაა.

დღეგეზი

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 16 მაისს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ალგეროს ნავსადგურსა და ეროდრომზე სარდინიაში. შემჩნეულია ბევრი დიდი ხანძარი და აფეთქება.

ეგეოსის ზღვაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მტრის ხომალდი ჩასძირეს.

17 მაისს ღამით მოკავშირეთა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ნოწინაალმდეგის რკინიგზებზე, გზატკეცილებსა და საჰაერო ბაზებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში და ბელგიაში.

იმავე ღამეს ბომბდამშენი ავიაცია თავს დაესხა სამხრეთ გერმანიის სხვადასხვა ობიექტებს და განაგრძობდა მოწინააღმდეგის წყლების დანაღმვას.

მტრის ხომალდების ქარავნის დევნისას ჰოლანდიის სანაპიროსთან ცეცხლი წაუკიდეს მტრის 3 სავაჭრო ხომალდს და 3 ხომალდს, რომლებიც მათ ბადრაგობდნენ.

გუშინ დღისით ამერიკის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს მთელ რიგ ობიექტებზე, მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. ყველაზე უფრო მეტი წარმატებით იქნა დაბომბილი ლორიანის ნავსადგური ნაგებობანი და ბორდოს დოკები. ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ბევრი ავიაგამანადგურებელი.

ირანის შაკის საჩუქრების საზეიმო გადასცემა ფილმ „ირანის“ შემოქმედებითი კოლექტივისათვის

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოებაში კინემატოგრაფიის გამორჩენილ მოღვაწეთა თანდასწრებით კინოფილმ „ირანის“ შემქმნელ საბჭოთა კინომოშაკებს საზეიმოდ გადასცეს ირანის შაჰინშაჰის მიერ გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები.

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. კემენოვმა, ამას წინათ დაბრუნებულმა ირანში მგზავრობიდან, შეკრებილთ აცნობა, რომ ირანის შაჰინშაჰმა, რომელსაც გადასცეს პირველი დოკუმენტალური ფილმი, სთხოვა გადაეცა საბჭოთა კინომუშაკებისათვის, რომლებმაც კინოფილმი „ირანი“ გადაიღეს, ნისი ღრმა მადლობა და რწმენა იმისა, რომ ეს ფილმი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ირანის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განვითარებას და კულტურული კავშირის განმტკიცებას.

შემდეგ ამხ. კემენოვმა აღნიშნა, რომ კინოფილმ „ირანის“ საზოგადოებრივმა გასინჯვამ, რაც ირანის პრესის და ინტელიგენციის წარმომადგენელთათვის მოეწყო, დიდი წარმატებით ჩაიარა. ამ ფილმის შემქმნას ირანის საზოგადოებრიობა აფასებს, როგორც ირანული კულტურის განვითარების საქმისადმი სსრ კავშირის მეგობრული დახმარების აქტს.

დასასრულ ამხ. კემენოვმა ძვირფასი საჩუქრები გადასცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ბოლშაკოვს, ფილმის მთავარ რეჟისორ სტალინური პრემიის ლაურეატ ამხ. ი. პუსელსკის და ფილმის გადამღები კოლექტივის წევრებს. (საკდესი).

იუგოსლავიელი პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს

სტოკჰოლმი, 18 მაისი (საკდესი). შვეიცის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დიდი ბრძოლაა გაჩაღებული იუგოსლავიის პარტიზანებსა და საოკუპაციო ჯარებს შორის. ამას წინათ პარტიზანების მნიშვნელოვანი რაზმები თავს დაესხნენ გერმანელთა გარნიზონს სოფელ ხოპოვოში. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო სახმელეთო ნაწილები, არამედ ავიაციაც. ამ დღეებში პარტიზანებმა ხორვატიის სოფელი სუსეკი დაიკავეს. ბევრი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი პარტიზანებს მიემხრნენ.

თურქული გაზეთი დასცინის იტალიელ შაშისტთა მეთაურებს

ანკარა, 18 მაისი (საკდესი). თურქული გაზეთი „ანადოლუ“ იტალიის ფაშისტ მეთაურებს დასცინის იმის გამო, რომ მათ ტუნისის დაკარგვის წინ „იტალიის იმპერიის 7 წლისთავის“ საზეიმო დღესასწაული მოაწყეს.

„თუ გერმანელები ცდილობდნენ სამი დღის მგლოვიარებით გაექარვებინათ ის სიმწარე, რომელიც მათ სტალინგრადთან დამარცხებით განიცადეს—სწერს გაზეთი, — იტალიელებმა მთელ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოთა დაკარგვის გამო გვამების წინ ცეკვა მოაწყეს“.

ჰიტლერელთა სისხლიანი ჯერობა საბერძნეთში

სტამბოლი, 18 მაისი (საკდესი). ჰიტლერელებმა რომ ამას წინათ ახალი ნარიონეტული „მთავრობა“ დანიშნეს საბერძნეთში, იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით „თანამშრომლობას“ მიაღწევდნენ მოსახლეობასა და ხელისუფლებს შორის.

გერმანელთა ეს ცდა ნარცხით დამთავრდა, რის გამო მათ ახალი ძალით მიმართეს ტერორს. გაზეთ „ეფემერისის“ ცნობით, გერმანელებმა ათენში, სალონიკსა და პატრასში სპეციალური სამხედრო სასამართლოები შეჰქმნეს ტყვედ წაყვანილ პარტიზანთა საქმეებზე.

გერმანიის სანარმოებში მკვეთრად დაეცა შრომის ნაყოფიერება

სტოკჰოლმი, 18 მაისი (საკდესი). ჰიტლერულ გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ ეიარებით, გერმანიის საწარმოებში განუწყვეტლივ კლებულობს შრომის ნაყოფიერება. გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ სამუშაო დღის კვლავ გადიდება ნდგომარეობას ვერ შველის. მუშების უკიდურესი მოქანცვისა და სისტემატური შიმშილის გამო უბედური შემთხვევები სულ უფრო და უფრო ხშირდება. აუცილებელია აგრეთვე წუნის გადიდება.

ინგლისის საზოგადოებრიობის სამედიცინო დახმარება საბჭოთა კავშირისადმი

ლონდონი, 15 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, პრემიერ-მინისტრი ბატონ ჩერჩილის მიერ დაარსებული „რუსეთის დახმარების ფონდისათვის“ შეგროვებულია 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი. გაზეთის სიტყვით, ინგლისის წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა ინგლისის გემებით საბჭოთა კავშირს გაუგზავნეს 3.000 ტონაზე მეტი მედიკამენტები, ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვა საგნები.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო მშენებლობა

ვაშინგტონი, 16 მაისი (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის ასიგნობათა კომისიამ მოიწონა პროექტი კანონისა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჭიროებისათვის 29 მილიარდ 464 მილიონი დოლარის ასიგნების შესახებ ახალი საბიუჯეტო წლისათვის, რაც 1 იანვარს იწყება.

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ჩამბარებელი ფიქრობს, რომ მომავალი წლის ივლისში ამერიკის ფლოტს 5.100-მდე ხომალდი ექნება. (ამჟამად სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში 3.183 ხომალდი შედის, 1941 წელს კი 907 ხომალდი იყო).

5.100 დიდ ხომალდს გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტს მომავალი წლის ივლისისათვის 25.000 მცირე გემი ექნება.

ფიქრობენ, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა ამ დროისათვის 2 მილიონი 500.000 მატროსი და 225.000 ოფიცერი იქნება.

დეზერტირობა ნორვეგიაში მყოფ ჰიტლერულ ნაწილებში

სტოკჰოლმი, 16 მაისი (საკდესი). შვეიცა-ნორვეგიის პრეს-ბიურო იუწყება, რომ ნორვეგიაში მყოფი გერმანიის საოკუპაციო ჯარების მორალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. გახშირდა დეზერტირობისა და ოფიცერთადმი ურჩობის შემთხვევები.

ფინმარკენში (ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილში) შექმნილია მთელი რიგი ბანაკები არმიიდან გაქცეულ გერმანელ ჯარისკაცთათვის. ჰესენგში 200-მდე დეზერტირია, ჩელმეის ბანაკში—400, ჰატელნის ბანაკში—600 დეზერტირი და ა. შ.

ნათესავებისაგან მიღებული წერილების გავლენით, ჯარისკაცთა შორის თვითმკვლელობის შემთხვევები გახშირდა. თვითმკვლელთა რიცხვმა განსაკუთრებით მკვეთრად იმატა სტალინგრადის რაიონში ჰიტლერელთა ჯარების განადგურების შემდეგ.

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლობა პასუხი უნდა აგონ

(მცხეთა, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან).

მცხეთის რაიონის სოფ. როზენტალის როზა ლუქსემბურგის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. გ. შახნაზაროვი) ქერისა და სიმინდის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებით დაკმაყოფილდა და შემდეგ თვითდამშვიდებას მისცა თავი.

კოლმეურნეობას ლობიო უნდა შეეთესა 17 ჰექტარ სიმინდის ნათესში, ფაქტიურად შეთესა ვენახში 2 ჰექტარზე. კოლმეურნეობას 13 ½ ჰექტარზე გაშენებული ხილის ბაღის საგაზაფხულო სამუშაოები (შემობარვა, გასხვლა და შეთეთრება) მარტის ბოლოსათვის უნდა დაემთავრებინა. აღნიშნული დროისათვის ეს სამუშაოები არა თუ დამთავრებული, არამედ 13 მაისისათვის დაწყებულიც კი არ იყო. პირველ აპრილამდე კოლმეურნეობას უნდა დაეტვა 280 ძირი თუთის ხე და გაეშენებინა ხილის ბაღის პლანტაცია 3 ჰექტარზე. არც ეს სამუშაოები იყო აღნიშნული რიცხვისათვის დაწყებული. გარდა ამისა, აქ ჭიანურდება ბოსტნეულის თესვაც. გეგმით მიცემული 11 ჰექტარიდან დათესილი იყო მხოლოდ 3 ჰექტარი. დამთავრებული არ არის ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები. ვაზს აკლია შეყელვა და შესარგა, აკლია 1.000 ცალი ჭიგო.

ამ სამუშაოების ჩაშლასა და გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის მებოსტნეობა-მევენახეობის ბრიგადირს გ. ზარიევს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიორგი შახნაზაროვს, რომელიც თავისი მოვალეობისადმი დანაშაულებრივ უდარდელობას იჩენს.

კოლმეურნეობაში არ დაუმუშავებიათ ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მიმართვა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ, ბრიგადები ჩაბმული არ არიან სოცშეჯიბრებაში. კოლმეურნეთა შორის სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია ანგარიშწარმოება და აღრიცხვა.

ამ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ბოროტმოქმედებებს. რომელნიც ღაკანასწილ დრომდე შეუმჩნეველი იყო.

აი ფაქტები: გასული წლის 21 ნოემბერს კოლმეურნეობის ფერმას (გამგე ქსენია გაბეჩავა) დაეკარგა ორი ბურვაკი, ხოლო 10 დღის შემდეგ—ეჭვსი. აღსანიშნავია, რომ ფერმიდან მინდვრად გარეკვისას ღორებს მწყემსს არ აყოლებდნენ.

კოლმეურნეობის ბურვაკების დაკარგვამდე ყოფ. ბრიგადირ მოსე არაბულის ბოსლიდან უკვალოდ დაიკარგა წინადღით კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ მიბარებული ექვსი გოჭი, რომლებიც ნაპოვნი იყო მათ ფართობზე და პატრონი არ ჰყავდა.

მაგრამ ამით არ თავდება საქმე. მიმდინარე წლის 10 იანვარს კოლმეურნეობის ბოსლიდან მოიპარეს კარგი ჯიშის ორი ხარი. საქონლის მომვლელები გაბო ზარიძე და ბესო წიკლაური დღემდე არ არიან მიცემული პასუხისგებაში.

გარდა ამისა, წელს კოლმეურნეობას უგზო-უკვლოდ დაეკარგა 10 თხა. ამაზე აქტი არ შეუდგენიათ და არც ბოროტმოქმედი აღმოუჩენიათ.

19 იანვარს კოლმეურნეობიდან მოიპარეს 4 სკა თაფლით და ფიჭით. ბოროტმოქმედნი დღემდე არ არიან აღმოჩენილნი. ეს იმის შედეგია, რომ ფუტკრის სკები აქ არავის არ მიამაგრეს და ამიტომ პასუხსაც არავის აგებინებენ.

8 მარტს კოლმეურნეობის წევრებმა მ. ზარიძემ და მ. თაზიშვილმა შუადღეზე მინდვრად მიატოვეს გუთანში შებმული ხარები და სახლში წავიდნენ. ორი-სამი საათის შემდეგ უკან დაბრუნებისას მათ ერთი ხარი დამხრჩვალი დახვდათ. ამ საქმეში დამნაშავე პირები პასუხისგებაში ჯერ კიდევ არ არიან მიცემულნი.

აქ ადგილი აქვს რძის პროდუქტების განიავებას მათი მიღების დროს. კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 750 ლიტრი რძე. ფაქტიურად 13 მაისისათვის ჩაბარებული ჰქონდა მხოლოდ 39 ლიტრი რძე. ეს იმით აიხსნება, რომ აქ ძროხებისა და თხების მოწველას კოლმეურნეობისათვის 10 მაისიდან შეუდგნენ. აღნიშნულ რიცხვამდე კი სწველიდნენ და თვითონ სარგებლობდნენ მწველავები ვარო და შაქრო ზარიძეები. კოლმეურნეობის გამგეობას ამ პირებისათვის დღემდე პასუხი არ მოუთხოვია და არც პასუხისგებაში მიუცია.

კოლმეურნეობის საწყობის გამგეს მარგო გულიაშვილს, რომელიც ამავე დროს მოლარედ მუშაობდა,—საშუალება მიეცა ბოროტმოქმედება ჩაედინა, გაეფლანგა 2.000 მანეთზე მეტი ფული, საწყობიდან უკანონოდ გაეტანა მარცვლეული.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმითაც აიხსნება, რომ მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომი და რაიმიწგანი ოპერატიულ ხელმძღვანელობას, კონტროლსა და სათანადო დახმარებას არ უწევენ აღნიშნულ კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. შახნაზაროვმა და სხვა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ საკოლმეურნეო ქონების გარიყვებისათვის.

ვ. მთვრალაშვილი

ანრი ბარბიუსი

(დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

ARCHIVE

პირველი მსოფლიო ომის სანგრებში შეიმუშავა ანრი ბარბიუსმა რევოლუციური მსოფლმხედველობა. ფრონტზე იგი მოხალისედ იყო წასული, ავტორი მელანქოლიური ლექსების წიგნისა—„მოტრალი“. მის კალამს ამ დროს უკვე რამდენიმე ნაწარმოები ეკუთვნოდა—რომანები „მთხოვნელნი“ და „ჯოჯოხეთი“, მოთხრობა „ჩვენ—დანარჩენნი“, რომლებშიაც მომავალი რევოლუციონერი უსამართლო სოციალური პირობებით ადამიანის ტანჯვას და უბედურებას აგვიწერდა. ომმა ბარბიუსი გამოაფხიზლა. მან საბურველი ჩამოხადა და გააშიშვლა ყველა ურთიერთობანი. ომის ქარიშხალმა, მისმა საშინელებამ ბარბიუსის კალამი „ცეცხლის“ ენით აამეტყველა და ასე დაიბადა 1916 წელს ეს სახელგანთქმული ნაწარმოები, რომელიც დღემდე შეუდარებელ ქმნილებად ითვლება მსოფლიო ლიტერატურაში ამ თემაზე დაწერილ რომანთა შორის.

„ცეცხლმა“, ამ „საოცრად სადა და დაუზოგავად მართალმა წიგნმა“, როგორც გორკი ამბობს, საფუძველი ჩაუყარა ახალ ფრანგულ ლიტერატურას. ამ რომანს მოჰყვა ცნობილი „შუქი“ (1919 წ.). რომელშიაც ბარბიუსმა დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენა ძველი შეხედულებების რღვევა და მასში რევოლუციური შეგნების გაღვივება. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ბარბიუსის ამ რომანებს. ნათელ, მკაფიო დადასტურებად ომის შემდეგ „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის მასობრივი მოვლენისა“ ლენინს მიაჩნდა ანრი ბარბიუსის რომანები: „ცეცხლი“ და „შუქი“. სანგრებიდან ბარბიუსი დაბრუნდა როგორც რევოლუციონერი, ანტიმილიტარისტი. „მოხეტიალე რაინდი“. რომანების გარდა, ამაზე მეტყველებენ მისი შესანიშნავი პუბლიცისტური წიგნები „მებრძოლის სიტყვები“ და „პირში დანით“. ფრანგი ხალხის უსაზღვროდ ერთგულმა შვილმა ოქტომბრის რევოლუციაში თ